საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად
საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

ნუგზარ სალიას

მოსამართლეობის კანდიდატის ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	16	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	17	20
პროფესიული თვისებები	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	10	10
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	79	100

სახელი, გვარი:

თარიღი : 25.11.2021წ.

*<u>საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს **2020 წლის 20 ნოემბრის №1/207** განკარგულების საფუძველზე გამოცხადებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის</u>*

ნუგზარ სალიას

შეფასების დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის **№**1/207 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი. აღნიშნულ კონკურსში მონაწილე კანდიდატების შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, რომლის თანახმად, კანდიდატის საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი კანდიდატს აფასებს ამავე კანონით განსაზღვრული კეთილსინდისირებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების მახასიათებლების გათვალისწინებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, **<u>ნუგზარ სალიას</u>** შეფასებას საფუძვლად უდევს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 34[2] მუხლით დადგენილი წესით მოძიებული, აგრეთვე, სხვადასხვა უწყებიდან კანდიდატის შესახებ გამოთხოვილი ინფორმაცია, მასთან ჩატარებული საჯარო გასაუბრება, ასევე, თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო თუ სამართლებრივი დოკუმენტები.

<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმით</u> კანდიდატის შეფასება „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის თანახმად, ეფუძნება ამავე კანონის 36[3] მუხლით გათვალისწინებულ მახასიათებლებს, კერძოდ, *<u>პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს; დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობასა და სამართლიანობას; პიროვნულ და პროფესიულ ქცევას; პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციას; ფინანსურ ვალდებულებას.</u>*

<u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:</u>

მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ **<u>ნუგზარ სალიას</u>** საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს კანდიდატი ასრულებს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად. **<u>ნუგზარ სალიას</u>** აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, რაც გულისხმობს, რომ მას არ უფიქსირდება მიმდინარე ვადაგადაცილებული ფინანსური ვალდებულება. შინაგან საქმეთა სამინისტროს

საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კანდიდატს 2017-2020 წლებში კანდიდატს არ დაჰკისრებია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელი.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, **ნუგზარ სალია** არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში.

დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:

მოცემულ მახასიათებელთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ რეკომენდატორები და გამოკითხული კოლეგები დადებითად აფასებენ კანდიდატის პრინციპულობას.

მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ **ნუგზარ სალია** არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ანდა შემომწირველი. ამასთან, საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას მას არ გამოუვლენია რაიმე სახის შეუწყნარებელი დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. ამდენად, მიმაჩნია, რომ **ნუგზარ სალია** არის პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით მიუკერძოებელი.

პიროვნული და პროფესიული ქცევა:

აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასების პროცესში გავითვალისწინე მის მიერ საჯარო მოსმენის მსვლელობისას გამოვლენილი პიროვნული და პროფესიული თვისებები, კანდიდატის რეკომენდატორებისა და კოლეგების დახასიათებები, აგრეთვე, კანდიდატთან მიმართებით დისციპლინური ანდა სისხლისსამართლებრივი დევნის არსებობის ფაქტი.

ზემოაღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და ანალიზის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას კანდიდატმა გამოავლინა კორექტულობა, თავის პოზიციას აფიქსირებდა თავდაჯერებით, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ შემთხვევებში კანდიდატს გაუჭრიდა ემოციების მართვისა და განსხვავებული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარის გამოვლენა.

გამოკითხული კოლეგები, რომლებიც უთითებენ, რომ კარგად იცნობენ კანდიდატის პიროვნულ და პროფესიულ თვისებებს დადებითად აფასებენ მის კორექტულობას და კომუნიკაბელურობას.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, **ნუგზარ სალიას** მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა, რაც მეტყველებს მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის სათანადოდ შესრულებასა და შესაბამისი კორპორატიული კულტურის ნორმების დაცვაზე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტისა და თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზის შედეგად, დადგინდა, რომ **ნუგზარ სალია** სამართლებრივ დავებში მხარედ ან დაზარალებულად არ წარმოდგენილა.

პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

წარმოდგენილი რეკომენდაციებისა და კანდიდატის კოლეგების მიერ შევსებული სპეციალური კითხვარების შესწავლის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ **ნუგზარ სალია** სარგებლობს კარგი პიროვნული და საქმიანი რეპუტაციით კოლეგებს შორის. რეკომენდატორები და გამოკითხული კოლეგები მას აფასებენ დადებითად. ისინი მიიჩნევენ, რომ კანდიდატი სრულად აკმყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმით მას აფასებენ ძალიან კარგად. რესპოდენტები გამოარჩევენ კანდიდატის კეთილსინდისიერებას, პატიოსნებას, პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობას, კორექტულობას, პრინციპულობას, სამართლიანობას, მტკიცე ხასიათს, მიუკერძოებლობას, შრომისმოყვარეობას და ა.შ.. რეკომენდატორები არ უთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ინტერნეტ სივრცეში **ნუგზარ სალიას** შესახებ ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის საპროკურორო საქმიანობასთან დაკავშირებით, აგრეთვე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში კანდიდატის მონაწილეობის შესახებ. მიმაჩნია, რომ აღნიშნული ინფორმაცია არ იძლევა კანდიდატის პიროვნულ და პროფესიულ თვისებებსა და დადებით რეპუტაციაში ეჭვის შეტანის საფუძველს.

ფინანსური ვალდებულებები:

მოძიებული ინფორმაციით დასტურდება, რომ **ნუგზარ სალია** კეთილსინდისიერად და ჯეროვნად ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს. მას არ ერიცხება რაიმე სახის დავალიანება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ. კანდიდატს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია და არ უფიქსირდება რაიმე სახის ფინანსური ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების ფაქტი. ამდენად, მიმაჩნია, რომ არ გამოვლენილა ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსში დარეგისტრირებულ კანდიდატთა კეთილსინდისიერების შეფასების მიზნით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითეული მახასიათებლის ანალიზისა და შეჯერების, ასევე, **ნუგზარ სალიას** შეფასების შედეგად, დასკვნის სახით

შესაძლებელია ითქვას, რომ არ გამოვლენილა კანდიდატის კეთილსინდისიერებაში ეჭვის შეტანის საფუძველი. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ **ნუგზარ სალია სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატთა **კომპეტენტურობის კრიტერიუმით** შეფასების პროცესში მხედველობაში მიიღება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლები, კერძოდ:

- სამართლის ნორმების ცოდნა;
- სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
- წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
- პროფესიული თვისებები;
- აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
- პროფესიული აქტივობა.

სამართლის ნორმების ცოდნა

აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასების მიზნით გავითვალისწინე საჯარო მოსმენის მსვლელობისას მის მიერ გამოვლენილი ცოდნა, აგრეთვე, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ნაშრომების სამართლებრივი დასაბუთება.

საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას კანდიდატმა იმსჯელა არაერთ ზოგად და სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით. სურვილი ჰქონდა გასაუბრების პროცესი წარემართა იმგვარად, რომ ჰქონოდა შესაძლებლობა, ესაუბრა მისთვის საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხებზე. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ კანდიდატს დაესვა კითხვები სამართლის სხვადასხვა მიმართულებით. კანდიდატის მიერ სამართლებრივ საკითხებზე გაცემული პასუხების ანალიზის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ **ნუგზარ სალია** მეტნაკლებად ფლობს სისხლის სამართლის მიმართულებით მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას, სამართლის აღნიშნული მიმართულებით დასმულ არაერთ საკითხზე კანდიდატი აფიქსირებდა მხოლოდ თავის მოსაზრებას, რომელიც სათანადოდ არ იყო გამყარებული საკანონმდებლო ნორმებითა თუ ეროვნული ან საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკაში არსებული შესაბამისი მაგალითებით. ამასთან, სისხლის სამართლის სფეროდან დასმულ ზოგიერთ საკითხზე კანდიდატმა ვერ განავითარა რაიმე სახის მსჯელობა.

რაც შეეხება, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკას, უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის

მითითებული მიმართულება არ წარმოადგენს კანდიდატის სპეციალიზაციას, რაც ასევე იგრძნობოდა გასაუბრების მიმდინარეობისას, ვინაიდან კანდიდატმა ვერ განავითარა შესაბამისად არგუმენტირებული და ამომწურავი მსჯელობა. აგრეთვე, გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მიმართულებით კანდიდატი ნაკლებად ეცნობა საკანონმდებლო სიახლეებსა და სასამართლო პრაქტიკას.

უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებზე, აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით განმტკიცებულ უფლებებზე კანდიდატის მსჯელობა იყო ზოგადი და არათანმიმდევრული. ამასთან, კანდიდატი თავის პოზიციას არ ამყარებდა შესაბამისი ეროვნული თუ საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის მოხმობით.

ნუგზარ სალიას მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტები თავისი შინაარსითა და სტრუქტურით არ იძლევა კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და მისი ეროვნული თუ საერთაშორისო კანონმდებლობის ცოდნის სრულყოფილად შეფასების საფუძველს.

კომპეტენტურობის კრიტერიუმის ამ მახასიათებლის თითოეული კომპონენტის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული იძლევა საფუძველს, კანდიდატი შეფასდეს - 16- ქულით.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია:

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, **ნუგზარ სალიას** აქვს 34-წლიანი პროფესილი გამოცდილება. საჯარო მოსმენაზე კანდიდატის მიერ განვითარებული მსჯელობისა და წარმოდგენილი სამართლებრივი ნაშრომის გაცნობის შედეგად, შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატს ძირითადად გააჩნია ანალიტიკური აზროვნების უნარი.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლის შედეგად, შესაძლებელია ითქვას, რომ მას გააჩნია აზრის ნათლად და გასაგებად დაფიქსირების უნარი. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, თავისი შინაარსითა და სტრუქტურით აღნიშნული დოკუმენტები არ იძლევა კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და მისი ეროვნული თუ საერთაშორისო კანონმდებლობის ცოდნის სრულყოფილად შეფასების საფუძველს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ გასაუბრების პროცესში, ცალკეულ საკითხებთან მიმართებით, კანდიდატს არ უსაუბრია სრულყოფილად, დამაჯერებლად და დასაბუთებულად. ძირითად შემთხვევებში კითხვაზე პასუხი იყო მცდარი.

ამდენად, მივიჩნევ, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმის მოცემულ მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს - 17---ქულით.

წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი:

წერილობით თავის მოსაზრებებს კანდიდატი აფიქსირებს ნათლად, თანმიმდევრულად, მარტივი და გასაგები ენით. მისი მსჯელობა არის ლოგიკური და თანმიმდევრული. ნაშრომში მკვეთრად გამოხატული გრამატიკული შეცდომები არ იკვეთება.

საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას კანდიდატი იყო თავდაჯერებული, თუმცა, უნდა ითქვას, რომ მისი მსჯელობა უმეტესად არ იყო კონკრეტული, ნათელი და თანმიმდევრული. ზოგიერთ შემთხვევაში კანდიდატს უჭირდა დასმული კითხვის სათანადო ანალიზი და მსჯელობისას ის სცდებოდა განსახილველი თემის ფარგლებს. აგრეთვე, გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატს გარკვეულ შემთხვევებში გაუჭირდა განსხვავებული მოსაზრებების მოთმინებით მოსმენის სათანადო უნარის გამოვლენა.

ამრიგად, მიმაჩნია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმის აღნიშნულ მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს - 17-- ქულით.

პროფესიული თვისებები:

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილი რეკომენდაციებისა და სპეციალური კითხვარების ანალიზისა და მის მიერ გამოვლენილი თვისებების შეჯერების შედეგად, მივიჩნიე, რომ ის არის პუნქტუალური, შრომისმოყვარე, ასევე, მას გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, რასაც ადასტურებენ გამოკითხული კოლეგები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მოცემულ მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს - 15-- ქულით.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა:

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ის არცთუ ისე ხშირად ესწრება პროფესიულ შეხვედრებსა და ტრენინგებს. საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას კანდიდატმა გამოავლინა, რომ ზოგჯერ ეცნობა სიახლეებს ეროვნულ კანონმდებლობასა და სამოსამართლო პრაქტიკაში, თუმცა არა სიღრმისეულად.

ამდენად, მიმაჩნია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმის ამ მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს - 10-- ქულით.

პროფესიული აქტივობა:

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **ნუგზარ სალია** არ ეწევა სამეცნიერო თუ პედაგოგიურ საქმიანობას, ამასთან, ის აქტიურად არ ესწრება პროფესიულ შეხვედრებსა თუ სემინარებს.

კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის მიმართულებით, აგრეთვე პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმის ამ მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს - 4-- ქულით.

დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრული წესის თანახმად კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეული მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასების შედეგად მინიჭებულ ქულათა შეჯამებით, **ნუგზარ სალიას** ქულათა ჯამმა შეადგინა --79-- ქულა.

სახელი, გვარი: ლევან მიქაბერიძე

თარიღი: 25 **ნოემბერი 2021 წელი**

ხელმოწერა: